განკარგულება:**გ-63. 632435923**
თარიღი:**24/12/2024**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლი'' 2025 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმართბელობის კოდექსი'' - ს თავი 3-ე მუხლი მე - 16 პუნქტიმე-2 ,,ტ" ქვეპუნქტის თავი 4 - მუხლი 24, პუნქტი 2 შესაბამისად, განიხილა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2025 წლის პროგრამა (დანართი N 1).

2. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2025 წლის შემოსავალი (დანართი #2).

3. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2025 წლის პროგრამის განხორციელების ხარჯები (დანართი #3).

4. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (დანართი #4).

დანართი N1

ა.(ა).იპ ,, სამტრედიის მუნიციპალიტეტტის კომპლექსური სპორტული სკოლის" 2025 წლის

პროგრამა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზესპორტის ხელშეწყობა და

განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გაძლიერება.

აღწერა, მიზანი

სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება. ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენასჩუნება - გაძლიერება . ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდიების თვალსაზრისით დაფინანსება. რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ მათი სპორტული შესაძლებლობები.

ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა და მისი ადმინისტრაცია (ა.(ა).ი.პ.-ის დებულებით განსაზღვრული წესით) წინამდებარე პროგრამით დასახული მიზნების განხორციელების მიზნით:

1. ქმნის სპორტულ ჯგუფებსდა სექციებს სპორტის შემდეგ სახეობებში: ფეხბურთში, კალათბირთში, ფრენბურთში, კარატეში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, აკრობატიკა, კინბოქსინგი, ძალოსნობაში, ჩოგბუთში.

2. შექმნილ ჯგუფებში ნიშნავს თითო მწვრთნელ მასწავლებელს. სპორტის ერთ სახეობაში ორი და მეტი ჯგუფის შექმნის შემთხვევაში დამატებით ნიშნავს მთავარ მწვრთნელ მასწავლებელს.

3. უზრუნველყოფს შექმნილი სპორტული ჯგუფების მონაწილეობას საქართველოს მასშტაბით (საჭიროების შემთხვევაში საზღვრებს გარეთაც) ჩატარებულ ჩემპიონატებსა და ტურნირებში.

4. იღებს გადაწყვეტილებებს წინამდებარე პროგრამის ბიუჯეტის ხარჯების კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგვის შესახებ.

ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში აღნიშნული ჯგუფების მონაწილეობა დაგეგმილია იმერეთის, საქართველოს და სხვადასხვა სახელობით ჩემპიონატებსა და ტურნირებში, წარმატებების შემთხვევაში მონაწილეობას ღებულობენ საზღვარგარეთ ჩატარებულ ღონისძიებებში.

შუალედური შედეგები:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ასევე წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

საბოლოო შედეგები

კომპლექსური სპორტული სკოლის სპორტსმენებს მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნიათ; არიან იმერეთის, საქართველოს და სხვადასხვა ფესტივლებსა და ტურნირებში გამარჯვებულები .

მნიშვნელოვანი წარმატებებით ასპარეზობენ კარატეს ჯგუფის სპორტსმენები მათი აღმზრდელები მონაწილეობენ, როგორც ევროპის ისე მსოფლიოს ჩემპიონატებში და საპრიზო ადგილებს იკავებენ.

კომპლექსურ სპორტულ სკოლას თავისი წესდებიდან გამომდინარე მჭიდრო კავშირი აქვს რაიონის საჯარო სკოლებთ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2025 წლის შემოსავალი

	შემოსავლები	თანხა (ათასი ლარი)
	სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან	**351. 20**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2025 წლის ხარჯები

ათასი ლარი

	ეკ. კლას. კოდი	ორგანიზაციული კოდი	სამტრედიის მუნიციპალიტეტი	სულ ჯამი სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან და საკუთარი შემოსავლებიდან	2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სუბსიდიით გასაწევი ხარჯები	2025 წლის საკუთარი შემოსავლებით გასაწევი ხარჯები
1		**05.01.02.02**	**ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლა**	**351.20**	**351.20**	**0.00**
2			**მომუშავეთა რიცხოვნობა**	**34**	**34**	
2	**2**		**ხარჯები**	**348.80**	**348.80**	**0.00**
2	**2.1**		**შრომის ანაზღაურება**	**205.50**	**205.50**	**0.00**
3	**2.2**		**საქონელი და მომსახურება**	**143.30**	**143.30**	**0.00**
2	**31**		**არაფინანსური აქტივების ზრდა**	**2.40**	**2.40**	**0.00**
3	**31.1**		**ძირითადი აქტივები**	**2.40**	**2.40**	**0.00**

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2025 წლის საშტატო განრიგი და სახელფასო ფონდი (ლარი)

#	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის დასახელება	სახელფასო განაკვეთი	თვის სახელფასო ფონდი	წლის სახელფასო ფონდი
1.	დირექტორი	1	1222	1222	14664
2.	მთავარი სპეციალისტი	2	743	1486	17832
3.	სპეციალისტი	3	581	1743	20916
4.	ბუღალტერი	1	1053	1053	12636
5.	ექთანი	1	436	436	5232
6.	მთ. მწ. კოორდინატორი	1	726	726	8712
7.	მთ. მწ. მასწავლებელი	2	424	848	10176
8	მთ. მწ. მასწავლებელი	1	557	557	6684
9.	მწ. მასწავლებელი	11	322	3542	42504
10.	მწ. მასწავლებელი	1	484	484	5808
11.	მწ. მასწავლებელი	1	394	394	4728
12.	მთ. მწ. მასწავლებელი	1	871	871	10452
13.	მთ. მწ. მასწავლებელი	2	605	1210	14520
14.	მთ. მწ. მასწავლებელი	1	569	569	6828
15.	მწ. მასწავლებელი	1	508	508	6096
16.	მწ. მასწავლებელი	2	442	884	10608
17.	მწ. მასწავლებელი	1	302	302	3624
18.	დამლაგებელი	1	290	290	3480
	სულ:	34		17125	205500

5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

ვაჟა სტურუა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი